

345/2
1901

N. V.

873
040104040
202-20301010



გ ვ ა რ დ 1901

უფრნალ „ჯეჯილისა“

88

I	ბურჯი მოთხრობა — რეზიგნაცია	3
II	მეგობარი ძალი — ქახ-იმპერატორი	7
III	ფუტკარი (ლექსი) — დ. თოშაშვილისა	9
IV	მეფის ასულის საჩუქარი (რუსულიდან) — ბაგშების შეგობრისა	10
V	ლელი ჯერ. მოთხრობა, გაგრძელება (თარგმანი) — ე. წერეთლისა	14
VI	დაეიწყებული დედოფალა (რუსულიდან) — ბეს. გაშემისა	25
VII	ენახოთ ის რას მეტყველის — დათ. ფედავასი	27
VIII	დედა ფუტკარის ნაამბობი — აპ. წელაძისა	30
IX	ქვის საუკუნის ბავშები (თარგმანი) — ეჭ. მ - ს	39
X	ძალი და ლომი — ტახოსა	49
XI	ქარი და მზე (რუსულიდან) — ქატო მიქელაძისა	51
XII	ორფეი და ეკრიდიკე (ოვიდიუსისა) — ა. კუმისოფელისა	53
XIII	გასართობი	58
XIV	წერილმანი: აკროსტიქები, ანდაზები, გამოცანები, უჯრების ამოცანა, შარადა და რებუსი	60

თანხმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარქოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო უფრნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.



№ V

 შელიშაფი მეთორავე 

— — — — —

ტფ ილისი
სრამბა ქ. პ. როტიანიანცის, № 41 | თიპ. თ. მ. როტიანიანი, ილ. პრ. № 41
1901



Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Мая 1901 г.

77.5.2.5.2
12.5.2.5.2

ծ Մ ա չ ո .



ახაფულდა და გავეკარდა: მოქლი მიდამო
გაცოცხლდა. კვლა სემ ფოთლები და კოჭ-
რები შეისხა. მინდოოი ამწვანდა. სადამოს
გრილი ნავი ნაზათ ელაქუცებოდა ამწვანე-
ბულ ვაზებს და, ღვთისაგან გამოგზავნილი
მოციქულიკით ეუბნებოდა მას: ნუ კემინას,
ზამთარი გავიდა, კვლარავერი დაგაჭყნობს,

~~ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ
କୁଳାଚାରୀ ମହିଳା
ମୂଲ୍ୟ ୩୦ ଟଙ୍କା
୦୯୦୮୫୫୦୩୩୩
୪୦୩୮୦୩୩୩~~



უცებ შემომქნენ უცნაური ხმა. მე თავი მაღლა ავიღუ და აქეთ-იქით უურება დავიწევ, მაგრამ საეჭვოს არაფერის ვხედავდი... შორს, შორს, მაღიან შორს ისმოდა რაღაც ბლუილი, ღრიალი. მე ვაფაციცებდი თვალებს, რომლებმიაც შიში გამოკრთოდა, როდესაც დავინახე ერთი ვლეხი, მას აეწია ჩოხის ვალოთები და მორბოდა ევირილით: «არიქა, არიქა! თემამი მოვარდა». მარტო აქ მიგხვდი, რა ხუილიც მესმოდა.


მე სოფელში იშვიათათ შევსწორებიგარ გაზაფხულის, ამიტომ ჩემთვის საუკრადებო იუო წელის გრგვინვა. მე ავედი ბურჯის თავზე და ველოდი წეალს. გული აღტაცებით მიცემდა, ქვევითა ტუჩი სისარულით მიცახუახებდა. ქბილებში რამდენ-ჯერმე დამირბინა ცივმა ქარძა. უცბათ დავინახე მოელვარე ტალდა. მას წინ მოუძღვიდენ ქვები, ხეები. უკელაფერი პრტევი-ალებდა. გაქანებული წეალი ისე გადაახტებოდა დიდ ქვას, ან ქვიშის გორას, თითქო ლამობდა მის ხაულაპვასთ; მთელ გზაზე არაფერი არ დაარჩინა: უკელაფერის მირი გამოუთხარა, უკელაფერი მოგლიჯა და წააქცია. აგრე დაეტაკა ჩემს ბურჯსაც, ზედ შეასკდა და დამსხვრეული უკუიცა. მე მისაროდა, რომ ქვის ბურჯმა ისე მედვრათ დაახვედრა წეალს თავისი მკერდი: ის მაგრათ იდგა და უკავაც არ იბერტებვდა. წეალი-კი თითქოს თმებს იკლებადა სიბრაჟით, რადგანაც ვერას ხდებოდა. ხან აქ შესტუორცნიდა ტალდას, ხან იქ ერთბაშათ დაეჯახებოდა და თითქო შთანთქვას უპირებდა, მაგ-

რამ დამარცხებული, ნაპერწელებათ და ქაფით ქცეული, უან-
უ ბორბეგოდა. მე გულ-ხელ დაქრეფილი და ქბილებ-
მოქერილი ვიდებ და ვუურებდი ამ ბუნების მოვ-
ლენილ გმირის ბრძოლას. გამჭინვარებული მდინარე
მაღით რომ ვერას აკლებდა, ხანდისხან ლამურით გა-
უსრიალებდა ერთ-ერთს გვერდს ბურჯისას და ჩასჩურჩულებ-
და: შენ მაინც წამომეტ და ბერა გწევო, მთელ ძვეშანას
გაჩერებო, მაგრამ ქვამ და კირმა მმღვარი კავშირი შექრეს
და ერთათ, მწიდროთ შეწებებული, ერმოდენ საერთო
მტერს. ჩემი ფალავანი ბურჯი იუთ, რადგან ზედ ვიდექი,
და ვაქეზებდი მას: ჴა! უოჩადათ იუავ, უოჩადათ, გაუძელი.
მე ვწერუნავდი, ვევიროდი და სხვას რომ დაჭინახე, გიუ ვე-
გონებოდი. წეალმა მირი გამოუთხარა ბურჯს, მწვავეთ და-
იღრიალა და გადაუნგრია ცალი შსარე; გადასტა ვენახში,
წალუებ ვაზები, სექბი და მირიანათ ამოაგდო ქვეყრები, რომ-
ლებიც ვენახში უოფილიერებ დაულული. ბურჯმა ვერ შესძ-
ლო და ტირილი დაიწეო: ამოდენა შრომა შესწირა იმ სა-
წელ ვაზებს, რომლებსაც მფარველობას უწევდა თავის,
ურთებივით გაძლილ, კედლებით, ეღობებოდა წეალს და
ტეუილათ ჩაუარა ამოდენა ამაგმა.

მე გული გამისკდა. აქამდის ჩემი თავი გმირი
მეგონა. ჩემი ფალავანი, ჩემი «მოქრი» ფეხს არ
იცვლიდა, გულს არ იტეხდა, ახლა-კი იძლია: ცალი
ფრთა მოტევდა. მეც წეალ შეა დავრჩი, უელა სულდგმულს

მოძრავის გერთი მდგრადი ტალღაც და გადამიტნდა
თან. უკანასკნელმაც არ დაიგვიანა: შორიდანვე გამოქანდა,
გრუვით ამოხტა წელის ზევით და უფრო შეუძლებათ და-
ემცერა თავის გულად მტერს. ბურჯამა ვეღარ გაუძლო უთა-
ნასწორო ბრძოლას: წეალს სულ ასალ-ასალი ძალა ემა-
ტებოდა თავის მომე სევ-ხუვებიდან და ბურჯას-კა არავინ შეკ-
ლოდა, გარდა ჩემის თანაგრძნობისა და ცალიერი თანაგრძნო-
ბას რას გამოადგებოდა? — იძლია და გადაიქცა. მე წეალმა
სელები გამამლეინა და ბებერი უკავის ფრთებივით ასაქევი-
ნა. ბურჯას დამარცხებამ გული გამიტენა და ამას შეძლებ ჯერ
ბრძოლა არც-კი მინდოდა, მაკრამ სიცოცხლის სიუპარუ-
ლი გაჭირვების დროს მდგრადია; მეც როგორც გმირი შე-
კვირი წვალს, ის იუთ ვძლიერ ბურჯას შეილს, როდესაც იგი
დარჩობას მიაირებდა. — ამ დროს გამომედვიძა. მე ჩემს ლო-
გინმი ვიწევი და რაც ძალი და დონე მქონდა უტეასუნებდი
სელებს ჩემ ბალიშს. შებლზე გაჭირვების სვითქი გადამ-
დოდა.

ՀԵՅՏՈՒՄ.



მეგობარი მაღლი.



რთ პატარა სახლში ცოლ-ქმარი ცხოვ-
რობდა. ამათ ჰეთ კიბი პატარა ქალი — სა-
ლომე. სახლთან მშვენიერი ბაღი იუო გა-
შენებული. სალომე მთელ დღეებს ამ ბაღ-
ში ატარებდა: იგი თამაშობდა სილაში,
დასდევდა ჰეპელებს და თან არ იძორებ-
და თავისს საუგარელი დიდ მაღლს — მი-
ლორკას.

დედა იშვიათთ გამოდიოდა ბაღში
სისკონოთ, რადგანაც სახლში ბევრი საქმე ჸქონდა. ერთ-
ხელ, როგორ სალომე თამაშობაში გართული იყო, დაინახა
მეტად მშვენიერი ჰეპელი და გამოეკიდა დასახელათ. მაგრამ
ჰეპელის დაჭერა ასე ადგილიც არ იყო. სალომე ასე ხმირთ
გამოჰქიდებია ჰეპელის, მაგრამ ამათ: ჰეპელი ახლა სადღაც
შორის გაფრინდა. ამ ჰეპელის რომ მისდევდა, უცრათ გუ-
ბეს მიადგა. სალომეს აკრძალული ჸქონდა ამ გუბესთან სია-
რული, მაგრამ ჰეპელი მაღიან ლამაზი იყო და როგორ
მიუტოვებდა! ჰეპელი ერთ ლურჯ კვავილზე დაჯდა, რომე-
ლიც ნაპირთან წეალში ამოსულიყო. სალომე ჰეპელის წა-

სწოდა, ნამირის ტალახზე ფეხი გაუსხლტა და წეალში გადაბრდა.

საბრალომ შეჰქივლა, მაგრამ ღედა შორსაა: ვინ გაიკონებს? ვინ იხსნის სალომეს? ერთგულმა მიღორებამ გაიგონა ქალის ევირილი, გადახტა წეალში, დაავლო ჰირი კაბაში, და ასე გაიტანა ნამირზე; მაგრამ აქ მეორე უბედურება შეხვდათ: ნამირი ციცაბი და თიხიანი იქნ. ასეთი ტკირთით ძაღლი კურ ადიოდა ნამირზე. მაშინ იმან ხმა ძაღლა შეჰქეფა. ბავში-კი მაგრათ ეჭირა ფეხებით. ახეთი ძაღლის ეფთა მუშებმა გაიგონეს, საჩქაროთ მოირბინეს, სალომე გაწუმტული ამოიუვანეს და ღედას მიჰევარეს. მალე მიღორებული მოვიდა აქ. კველა დიდი ალერნით მიეგება სალომეს მხსნელს და ერთგულ შეგობარს.

კახ-იმერლისა.





ფ უ ტ კ ა რ ი.

ვაჟილთა შორის დაქმებს
ის სათაფლი-სანთლია მსხალას,
მისთვის არ ზოგავს აროდეს
თავის ღონება და ძალას.

ეველასთვის ზრუნავს თანაბრათ,
ეველას ერგება, — ცოცხალს, მკვდარს,
ზეციურ საკურთხევლისთვის
იგი ამხადებს კელაპტარს.

ქვესკნელ-ზესკნელის მაერთი,
კავშირი ქვეშნისა და ცის,
თუ გაუჯავრდა ქვეშნის მტერს,
მან შებრალება არ იცის! — .

იმას მზათა აქვს ისარი,
რომ ის მტერს უტირდაბიროს
და ძავნე, ხელის შემშლელი
მითი დაშაბრის, გაჭვმირის...

ავის და კარგის აწონგა —
მისი საქმეა, ხელობა;
ნეტავ ჩვენც მოგვცა ქვეშნათა
ახეთი გამჭვრეტელობა!..

დ. თომაშვილი.



მავის პატიოს საჩუქარი.

(რუსულიდან).



რო სახელმწიფოში ცხოვრობდა მე-
ფე, რომელსაც ჰყანდა ერთათ-ერთი
ქალიშვილი.

სახელმწიფოს მეცნიერობრივ მრიელ
უკანონობრივ მეფის ასული. დიდი და
მატარა, მძიდარი და დარიბი ეთ-
კელ უქმე-დღესასწაულს ასახულებ-
დენ სხვა-და-სხვა სათამაშოებით თა-
ვის საეკარელს ერთათ-ერთ ტახტის

მექანიდრეს.

მეფის ასულის ამ გვარი მატიკისცემა ხალხს ჩვეულე-
ბათ გადაექცათ. წელსაც ასე იქო.

სამობათ მეფის სასახლის წინ მოექმნათ თავი აუბ-
რებელ ხალხს და სხვა-და-სხვა სახულებით სასახლეში
მიისწოდებენ.

სახულების მომტანთა შორის მივიდა სასახლეში და-
ლავილ ტანსაცმელში გახვეული მატარა ქალი. მას ხელში
ქადაღდები გამოხვეული რადაც ეჭირა. მეფის ვეზიონშა რო

დაინტენა ეს ქმაწვილი, რომელიც გვანდა უფრო მათხოვარსა, წერომით ჭკითსა:

— შენ აქ რათ მოსულხარ?

— ჩვენ ძვირფას მეფის ასულს საჩუქრი მოუტანე, — უასეუსა ქალმა, — აიღეთ.

კენირმა რომ შეხვეული გახსნა და ნახა შიგ ჩვრებოსაგან გაეყოფული დედოფალა, გულიანათ გადიხარხარა.

— განა ეს მართლა მეფის ასულს მოუტანე?

— ნუ იცინით, — თამაშათ უთხრა ქმაწვილმა, — თქვენ რომ იცოდეთ მე რა სიამოვნებით ვთამაშობდი ხოლმე ამ დედოფალს, ავრე არ დამცინებთ. ეს დედოფალი იქო ჩემი ერთთ-ერთი მსიამოვნებელი სათამაშო.

— ნუ ლაპარაკობ... ნუ ლაპარაკობ... უთხრა გულმოსულმა კენირმა, — წილდე შენი გატურტლული დედოფალა და დაიღუნე აქედან. კენირმა ზიზღით გადაუგდო დედოფალა მიწაზე.

გულ-დაწეკეტილმა ქმაწვილმა აიღო მონქებმი გახვეული დედოფალა, შეასვია ისევ ქალალდმი და ტირილით გარეთ გამოვიდა.

სწორეთ ამ დროს მეფის ასული სასახლიდან სასეირნოთ მიდიოდა. დაინახა თუ არა დაგლევილ ტანისამოსში მტირალა ჰატარა ქალი, მაშინვე უბძნა თავის შელებულ ქალს ეკითხა, რათა ტიროდა ეს საბორალო.

— უთუთ მათხოვარია, მოწელებას თუ თხოულობს,



უთხრა მეფის ასულის შეღებელმა ქალმა, ამოიდო ფულით ქისა და უნდა მიეცა.

— მათხოვგრო, მათხოვგრო, — დაუძახა ამ ქალმა, — აქ, მოდი აქ და მიიღე.

მაგრამ საწეალმა უმაწვილმა უარი განაცხად მოწეალების მიღებაზე და გულწრფელთ უამბო მეფის ასულის რაზედაც ტოროდა, როგორ ვეზირმა გულსაკლავათ გაძუგვდო დედოფალა, რომელიც მას უნდოდა ქაუქებინა მეფის ასულისათვის.

მეფის ასულმა მიიღო საწეალი უმაწვილისაგან საჩუქრო; როგორც კი გახსნა ტაძის ჭრით დაიწეო სიცილი.

— რა კარგი დედოფალია! რა კარგი! — წამოიძახა მეფის ასულმა. — მე ბევრი დედოფალები მაქსი, მაგრამ ამისთანა ჯერ არა მქონია, ოს, რა მძვენიურია! ეს დედოფალი უველავე უფრო მეუვარება. მაძახებს ბევრჯერ უთქამის ჩემთვის: საწეალი ღარიბი ხალხი უველას უნდა ებრალებოდეს და უგარდესო, ეს დედოფალი იქნება ჩემი «დედოფალი — მათხოვგრი», მე ეს მეუვარება და მებრალება და ჩაიკრი გულში. ამას შეძლებ მეფის ასულის თავისიდან არ მოუშორება «დედოფალი — მათხოვგრი». ეს დედოფალი უოველთვის აკონებდა ხოლმე მეფის ასულს, რომ ქვემნაზე არის ბევრი საწეალი — ღარიბი ხალხი, რომლებიც უნდა შეიბრალონ და უქველონ. ამიტომ მეფის ასული უველას შევლოდა, გულისაილათ უქცეოდა, ამათვის არა-

ვერს იშერებდა. როცა მეფის ასული დედოფლით გახდა, უფრო მეტს ურაღდებას აქცევდა დარიბ სალს. ის საწებლი მათხოვარი ქალი, რომელმაც მიართვა მეფის ასულს თავის ერთათ-ერთი გასართობი სათამაშო დედოფლია, მიღებულია მეფის სასახლეში და ახლაც იქ ცხოვრობს.

ბაეშების მეგობარი.



ლ ე დ ი ჯ ე ნ .

(ჯემისონის მოთხრობა)

VIII



ლ ე დ ი ჭ ი ნ ი ს ა ხ ა ლ ი მ ი მ ი ბ რ ი მ ი ზ

ოქლე ხანში პეპსი და პატარა ლელი ჯენი ისე და-
მეგობრდენ, რომ ბავში თითქმის მთელ დღეებს
პეპსის სუფთა და ლამაზ ოთახში ატარებდა. მადე-
ლონსაც ძალიან შეუყვარდა თავისი ქალის ცი-
ფრი თვალებიანი და ოქროსფერი თმიანი მეგობარი
და ისე არ წევიდოდა საეჭროთ სახლიდან, რომ ბავშისთვის ან ტები-
ლი პური, ან დაშაქრული ნუში და ნიგოზი არ დაეტოვებინა, ისე
არ დაბრუნდებოდა სალამოს, რომ მისთვის რამე იაფი, უბრალო,
მაგრამ ლამაზი ან სასაკილო სათამაშო არ მოეტანა.

ლელი ჯენის ასე დაახლოება მეზობლებთან არაფრათ ეჭაშნი-
კა ჟოზენს და მან ერთ-ხელ თავის ნაცნობ ქალს, მეთუთუნეს ცოლ-
საც-კი გაუშიარა თავისი აზრები ამ საგნის შესახებ.

— შეიძლებ, ძალიან პატიოსანიც იყვენ არიენ დედა-შეიღო,
დაიწყო მან,—მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ბავშისთვის სასარგებლო
არ არის მთელი დღეებით ისეთი ქალის საზოგადოებაში ყოფნა, რო-
მელიც მთელი თავის დროს დუქანში ატარებს, რომელსაც ყველა ქუ-

ჩის ბაეშები „გემრიელ ნუშა“ უძახიან! ჩემი ლელი ჯენი მაგნაირ საზოგადოებაში ყოფნას არ არის მიჩვეული!

— მართალია, მადელონს არა აქვს დიდყაცური შეხედულება! —
დაეთანხმა მეთუთუნეს ცოლი ქოშენს. — არც პეპსია მაღალ საზოგა-
ლოებაში აღზრდილი... მაგრამ ნუ დაიგიწყებთ, რომ მადელონს მდი-
დარი ნათესავები ჰყავს, პეშუს ოჯახობა... პეშუს ცოლი — მისი მკუდ-
რი დაა. პეშუს უფროსი ქალი, მარი, ძალიან ლამაზია, მშენებრათ
აღზრდილია Sacré Coeur-ის მონასტერში და ამ მოკლე სანში თხოვ-
დება, მსაჯული გიურს შეიღს მიჰყება... ხომ იცით, ვინც არის
მსაჯული გიურ?

და მას აქეთ, დილიდან საღამომდის, ლელი ჯენი პეპსის არ შორდებოდა. ის სადილსაც-კი ყოველთვის იქ ჭამდა. ბაეშმა ნიგვ ზის და ნუშის გაფუცენა და დაშაქერა ისწავლა; მისი დაწმარებით პეპსი საათ ნახევარში, ორ საათში ათავებდა მოელ თავის დღიურ საქმეს, დანარჩენ დროს-კი სულ თავის პატარა მეგობარს ახმა-რებდა. პეპსი ყოველ დღეს თეითონ ჰბანდა პირს ჯენს, უწმენდდა ერდის ფერ ფრჩხილებს და მარგალიტებიერთ თეთრ კბილებს, უბარ-ცხნიდა გრძელ და ხუჭუჭ, ოქროსსუერ თმას, უსწორებდა და უკრავ-და გაშლილ კაბაზე აბრეშუმის განიერ სარტყელს...

յրտ գլուխ յոնչենմա ցամուսպեած ջենի, հուզեսաւ կարգո գլույթո ոյուս, ոյքթօնշաբելա ռարց, մուղու գլու դաժեար, ցըլահայշերմա ցա-
ցումու, Ցեն ցցեսաւբյըլուծ եռմ ցըն ցալացացենու

მას აქეთ, როგორც-კი ბავშვს ფეხსაცმელები დაწეოდა .. მაღლონი მაშინევ უყიდდა ხოლმე მას ახალს, პეპსი-კი გულმოდვინეთ დაუკრაედა ხოლმე დახეულ ჩულქებს და გაცემილ საცვალს. მეო-



რეთ ქოშენმა გამოუტადა ჯენს, მუქი ფერის კაბა უნდა შევიკერო, თეთრ კაბებს თავი დაანებე, ყოველ დღე რეტას და ყოველ დღე ცელს ვერ ავიდივარო; აქ-კი თაგუნამაც იჩინა თავი, წაეიდა ქოშენ-თან და თავისი დამტერეული ფრანგული ენით ძლიეს გააგებინა მას, მე მზათ ვარ უფასოთ ურჩეცხო ჯენს როგორც საცავალი, ისე თეთრი კაბებიცო. თაგუნამ მშევრიერი რეტა იცოდა ამნაირათ მას აქეთ ლედი ჯენი ყოველთვის სუფთათ და კოხტათ ჩატმული და-დიოდა. ცოტ-ცოტა მწუხარე და დალონებული გამომეტყველება მო-ცილდა ბაეშის სახეს, ის გასუქდა, ლოკები ამორესო, მისმა ცის-ფერმა თვალებმა ისევ უწინდელიერით მხიარულათ ელვარება დაიწ-ყეს... „კეთილი ბაეშების“ ქუჩის მცხოვრებლები ყველა სიკერულით და სიამოენებით უყურებდენ ლამაზ ბაეშს, რომელსაც ყოველ-თვის გულზე ცისფერი ყანჩა ჰყავდა მიხურებული, და ყველა დიდ მონაწილეობას იღებდა მის ცხოვრებაში.

გამნებარი და მოკუნტული ფრანგი—ქერარი, რომელიც მაღალის სახლის ახლობლათ თავის პატარა დუქანში მწვანეულობით გაჭრობდა, ხშირად იმეორებდა, რომ მისთვის ის დღე დღეთ არ ითვლებოდა, რა დღესაც ლედი ჯენის მშენებელ სახეს თვალს ვერ მოჰკრავდა. მართლაც, ქერარს სახე მთლათ გაუნათლდებოდა ხოლმე, როცა დილაობით მის დუქანის წინ პატარა ბავშის ნაზი, წყრიალა ხმა მოისმოდა.

— დილა გშეიღობის, ბატონი ქერარ! — ეტყოდა ხოლმე ლე-
დი ჯენი. დეიდა პოლინამ (ხან-და-ხან-კი პესიმ) შემოგითვალით,
ამ ფულის სტაფილო, (ან ხახეი, ან ვაშლები) გამომიგზენეთო.

ეკრარი მაშინევ მისცემდა ბავშვს რაც მას ესაჭიროებოდა, მე-
რე-კი უსათუოთ დაუმატებდა საჩუქრათ კამფერებს ან ფორმოს-
ლებს, რომლებსაც ბავში ყოველთვის მხიარული და ბედნიერი ღი-
მილით მიიღებდა ხოლმე.

ქერაბის ჭირიეთ ძულდა. „კეთილი ბაეშების“ ქუჩაზე მცხოვ-
რები ბაეშები, რადგანაც ისინი ყოველთვის დაცინოდნ და ახელებ-

დენ ამ საწყალ მოხუცს; მართლაც, შესახედავათ ქერარი ძალიან სა-
საცილო იყა; მისი შენაოჭებული, უწერ-ულფაში სახე ადამიანს
შემწევარ გაშლს მოაგანებდა; თავზე მას ყოველთვის წითელი ხელ-
სახოცი ეხვია, რომელიც ნიკაპ ქვეშ ჰქონდა შეკრული; ჩატანითაც
სასაცილოთ იცვამდა; მუდამ საშინელი განიერი შარეალი ეც-
ვა და გრძელი, თეთხი წინსაფარი ეკრა წელზე. ბაეშები იშეიათ
ბედავდენ მის დუქანში შესვლას; ქრისტი არა თუ არაფერ დასამარს
არ აძლევდა—დუქანში შემოშვებაც-კი ეზარებოდა მათი.

მთელი ღლეობით მოხუცი ქერარი თავისი დახლის გვერდით
იჯდა; დახლშე ლამაზათ იყო დალაგებული ყოველგვარი მწვანეუ-
ლობა და ხილეულობა; რადგანაც მთელი დუქანი ადამიანის თეალს
იტაცებდა სისუფთაესით, მწვანილი და ხილი-კი ყოველთვის ახალი
და კარგი, სუნნელოვანი იყო—მყიდველები ერთ წამსაც-კი არ აძლევ
დენ მოსვენებას ქერარს, სულ ბუშებიერ ეხევდენ მის დუქანს.
შეგრამ დახლთან ჯდომის დროსაც-კი ქერარი უსაქმირათ არ
იყო; მას ყოველთვის რამე საქმე ჰქონდა ხელში, ის თავისი ხელით
ირეცხდა სარეცხს, თავისი ხელით დაიკრებდა ხოლმე საცალს
და დაარუციავებდა წინდებს... მას სრულიად არ რცხენოდა,
თუ მყიდველი ისეთ დრას მიუსწრებდა, როდესაც ის ასეთ ქა-
ლურ საქმეებში იყო გართული; ის მაშინევ ვადადებდა გვერდზე
წინდას, ან რამე საცალს, რომელიც ხელში ეჭირა—და მწვანილს
ან ხილს აწოდებოდა ახალ მოსულს...

ერთ დიღას ლედი ჯენი ძალიან გააკერეა იმ ამბავმა, რომ
ქერარმა ის თავის დუქანში შეიძარის და თხოვა, ავერ დაჯექით
და თქვენი ფორთოხალი შექმეთ, სანამ მე ამ ჩემ პერანგს დაეკე-
ჩებო. ფორთოხლის შექმაზე ჯენშა უარი თქვა, რადგანაც მიხეეუ-
ლი იყო ყელაფერი პეპსისთვის შეუზე გაეყო, დუქანში შესველაზე
და ცოტა ხანს მოცდაზე-კი სიმოვნებით დათანხმდა. მან ჩამოსვა
ძირს თავისი ცისფერი ყანჩა, დააყენა ის მწვანილის უვარებისი ნარ-

ჩენებით საქსე კალათის წინ, თითოვნ-კი სკამზე შეპოტინდა, დააღავ ფეხები სტაფილოთ საქსე პატარა ბ.ოჩიაზე, გაისწორა კაბა, დაყრდნო თავი მუხლებზე დანდობილ ორივე ხელებზე და უურადღებით მია- ჩერდა თავისი ბებერი მეგობრის სახეს. ეტყობოდა, რომ რაღაც ფიქრობდა, მაგრამ ვერ ბედავდა თავის ფიქრების წმა მაღლა გამო- თქმას; ბოლოს ცობის მოყვარეობამ წასძლია და მან ზრდილო- ბიანათ, თუმცა ცოტა შეკრთომით ჰყითხა ფერარს:

— ბატონიშვილი, მითხარით, თქვენ კაცი ხართ თუ ქალი
ქერარი გაშტრერდა; ჩამდენიმე წამს მან გაოცებით უურა ლე-
დი ჯენის სერიოზულათ დაფიქრებულ სახეს, მერე მხიარულათ გა-
დინარხარა. დიდი ხანი იყო მას აქეთ, რაც არავის არ გაეგონა ეს
რაჩისაგან ასეთი მხიარული, ხმა მაღალი სიცილი.

— ოჲ, ღმერთო! — იკინოდა და თან ლაპარაკობდა მეღუქნე. — ჩემო პატარა ლედი, მე თითონაც არ ვიცი რა ეარ, რადგანაც კაცის საჯეშვაც ვაკეთებ და ქალისასაც... მაგრამ მითხარით, რაში მოგაფონდათ, რანისრა მოვიდიდათ თაეში მაგისთანა კითხეა?

— မျှ အေဇာက် သာတေသန၊ ၉၁၂ ဒွေးကြားက အမာန္တိ! — ဆောက်လွှဲတ မြတ်
ကျ ပာရှုမြတ်။ — ပုဂ္ဂိုလ် အရာဝန်ဆေး အဲ ကျော်ကျော် လာ အဲ ကျော်ကျော် မာဂါး
တေသန နိုင်စားဘာရီ... ပုလော်များ-ကျ အရာဝန်ဆေး အဲ ပျော်စာတ မာဂါးတေသန ပာန်း
ချုပ် ဖာရှုလွှဲပို့... အေ, အမိန့်ကို အဲ ဒေါပါ၊ ပုလော် စာရ်တ တွေ ပုဂ္ဂိုလ်.

— ոչ, լմցրու! — օսյզ զաջոնեարեարա լըրարմա.

— Հա ցը լունցի՞ւթ? — Քսկութեա Ծյուղու ջանմա, հռամլուսաւ ահապ հատ յը օմանցնա տաքոս մը զանձրուս ձաւնցի՞ւթ. — Մյ օմուրոմ ցուտեաց, հռամ տու տէյցըն կապո խարու, սուտուրա մալուն շնորհագունդուցտ ցործ աւ ձաւ հրցի՞ւթ!

— ոչ, ի՞շմ կը տոլու ծացմա! — Շերվութա Տօւունո յյրահմա.—
հասայցուրցելու, մոյսիրս դև մըմեցլցիւ, մաշրամ, եռմ ուրու, հռմ իյ
սուլ թահուռեցլա սձամահու ցա՛, ու ի՞շ տայնք տցուունց ա՛ ցու-
հունց — Տեցաս ցուս ցացաեսցենցցի?

— მე გამახსენდებით! — მსიარული ლიმილით მაუგო ლედი ჯე.

მა.—ძალიან მიხარია, რომ გაეიგე, რომ თქვენ კაცი ყოფილხარო. ამ ცოტა ხანში პეპსიმ კერვა უნდა მასწავლოს, და მე ყოველთვის დაგიკერავთ ხოლმე ტანსაცმელს.

— პატარა ანგელოზო! — აღტაცებით წამოიძახა ჟერარმა. — აი, წაიღეთ ეს მეორე ფორთოხალიც! — და მან გაუშეირა ბაეშს დადი, მშენიერი ფორთოხალი.

— არა, არა, მაღლობელი ეარ! — მიუგო ჯენმა და იქით გასწია ჟერარის ხელი, — მე დღეს მხოლოთ ერთი ჩამ ვიყიდე თქვენგან — ამიტომ დამატებაც მარტო ერთი მერგება, მეტი რომ მომცეთ — ეს უსამართლობა იქნება. ახლა-კი — დროა, რომ სახლში წაეიდე! — და პატარა ჯენი ჩამოხტა სკამიდან, მიიხურა გულზე ყანჩა, რომელსაც დიდათ არაფრათ იამა მწერანილის ნაჩრენებით საესე კალათის მოშორება, ზრდილობიანათ გამოეთხოვა მეღუქნეს და გამოცქრიალდა ქუჩაში.

დიდხანს, დიდხანს იჯდა დაფიქრებით მოხუცი ჟერარი ბაეშის წასელის შემდეგ... ბოლოს მან მწარეთ ამოიოხჩა, დაკეცა თავისი ჰერანგი, რომელსაც აკერებდა, და მწუხარეთ წაილაპარაკა:

— ეს! მარი რომ ცოცხალი ყოფილიყო — ყველაფერი სხეანაირათ მოწყობოდაო!

IX

პედისტი დღე.

III ქტომბრის ერთ გრილ, ნათელ დიღას პეპსი და ლეიდი ჯენი გულმოდგინეთ ფუქრიდენ და შაქარ-წყალში ამოსაცლებათ ამზადებდენ ნუშს და ნიგოზს; უცებ ქუჩიდან ბორბლების ხმაურობა და ჭურჭლის რიჩინი მოიმა; მადელონის სახლს მოუაზლოედ დეიდა მოდის პატარა, წითლათ შეღებილი ეტლი, რომელზედაც ახლათ გაწმენდილი რძის ქოთნები ლამაზათ იყო დალაგებული. ეტლში



შებმული პატარა ჯორი მხიარულათ მოკვეინტრიშაბდა და თითონევე გაჩერდა, როდესაც სახლის კარებს დაუპირდაპირდა. დეიდა მოდი გად-მახტა ეტლიდან, მიაბა ჯორი ლობის სარჩე და მხიარულათ შევარ-და ოთახში, სადაც ჰეპსი და ლედი ჯენი ისხდენ.

დეიდას დანახეაზე ჰეპსის სახე მთლათ გაუნათლდა.

— დეიდა მოდი, რა მიხარია, რომ მოხევდი! — აღტაცებით წა-მოიძახა მან. — მე მეგონა, შენ სულ დაგავიწყდა, რომ ლელი ჯენი უნდა წაგეუვანა!

მოდიმ სიყვარულით გადაკოცნა დისწული, მერე ლედი ჯენი სიყვარულით მიიკრა გულზე.

— მერე განა შესაძლებელია ამის დავიწყება? — მხიარულათ იკითხა მან. — დამავიწყდა-კი არა, სულ ამაზე ეფიქრობდი... მაგრამ რას იზამ? საქმეებს ვერ წაგართო აქამდის თავი!

— რა საქმეებს, დეიდა ჩოდი? — ცნობის მოყვარეობით ჰეპითხა ჰეპსიმ.

— ვერც-კი წარმოიდგენ ჩემთ თაგუნა, რა ხდება ახლა ჩენ-სას! მას აქვთ, რაც მსაჯული გიუოს შეილმა დანიშნა — ჩემი მარი სულ გამოიცვალა, ქალბატონობს, მთელი სახლი აგვირ-დაგვირია; მე სწორეთ ძალიან მომწონდა ჩენი ოთახები, მათი მოწყობილო-ბა... მაგრამ მარიმ სულ ახალ-ახალი მოინდომა ყელაფერი... წარ-მოიდგინ; სასტუმრო ოთახს სულ სხეანაირათ რთავს; მამაც არა-ფერზე უარს არ ეუბნება... ამას წინეთ წაფიდა თითონ საუკეთესო მალაზიაში და მარის დიდი სარკე, ეტაჟერკა, ლამაზი მაგიდა, დივანი და ხალიჩა უყიდა საჩიქრათ!

— ოჲ, რა მშეენიერება! — აღტაცებით წამოიძახა ჰეპსიმ. — ნე-ტავი შემეძლოს, შორიდან მაინც მოვკრა თვალი ყველა მაგებით მორთულ სასტუმრო ოთახს!

— შორიდან-კი არა, ახლოდან, ძალიან ახლოდან ნახავ, ჩემო გოგონა! — სიყვარულით თაეზე ხელი დაუსვა ჰეპსის დეიდა მოდიმ. — ქოჩწილში უსათუოთ წაგიუვან, თუ სხეანაირათ ვერ მოვახერხეთ —



შრომიარეს მაინც გადავიტანთ! აგერ ნახავ, რომ უსათუოთ, უსა-
თუოთ ქორწილში ჩენსას იქნები!

— ღმერთო, რა კეთილი ხართ, დეიდა მოდი! — აღტაცებით და
აღლებით წამოიძახა პეპსიმ.

— შენ-კი, ჩემო პატარა, — მიუბრუნდა მოდი ლედი ჯენს, რომ-
ლის სახეზედაც პეპსის თანაგრძნობით ისეთივე აღტაცება იხატებო-
და, როგორც პეპსისაჲე, — შენ ახლავე უნდა წავიყვანო თან.

— მერე დეიდა პოლინა? — წყნარათ შეეკითხა პატარა ჯენი. —
სახლში უნდა წავიდე და ეთხოვო, გამომიშვას.

— ახლავე თაგუნას გავეზენი! — სწრაფათ თქვა პეპსიმ, რომელ-
საც ექვარებოდა მალე გამოეცადა. მის პატარა მეგობარს მოელი ის
ბეღნიერება, რაც ეტლში ჯდომით მოელოდა, — თავუ ა! — მიუბრუნ-
და ის შავტუსა ზაგის გოგოს, რომელმაც სწორეთ ამ დროს გა-
მოჰყო ცნობის მოყვარეობით სამზარეულოს კარებიდან თავისი აბ-
ზეკილი ცხვირი. — გაიქეცი ახლავე ერზენთან და ჰკითხე, შეიძლება
თუ არა, რომ ლედი ჯენმა პეშუს ეტლით ისეირნოს ცოტა ხ. ნს;
თუ თქვას, შეიძლებაო — მოარჩენინე ბაეშის სუთთა კაბა, შლიაპა
და სარტყელი.

თაგუნა შურდულიერით გაპენდა, პეპსი-კი გულმოდგინეთ შე-
უდგა ჯენის გრძელი ხუჭუჭი თმის ბარტხნას და ისე მშევნიერათ
დაბარტხნა, რომ ბაეშის აბრეშუმის თმამ ნამდევილ ოქროსავით და
იწყო ბზინვა.

თაგუნა მალე დაბრუნდა და თან ტანისამოსიც მოიტანა. სანამ
პეპსი ლედი ჯენს რთავდა, დეიდა მოდი და თაგუნა ეტლიდან სახლ-
ში სურასათის გადმოტანას შეუდგენ; მოდი ისე არაოდეს არ მოეი-
დოდა მაღლონისას, რომ თან რამდე ძლევი არ მოეტანა; ახლაც,
ეტლიდან გადმოიღეს მშევნიერი კანაქი, შინ ამოყვანილი დიდი
ყველი, ძეხვები, ღორის კანჭი და გასუქებული ყვერული.

წასელის წინ ლედი ჯენი საშინლათ აღელედა. შან არ იცოდა,
თან წაეყვანა თავისი ტონი თუ შინ დაეტოვებინა.



— ହୋଇଯାଏନ୍ତି, ତୁ ଗିନ୍ଦା! — ଲିମିଲିନ୍ଟ ଉତ୍କର୍ଷ ମାତ୍ର ମାତ୍ରିମି। — ମାତ୍ରାମ ହେବି ପ୍ରାଚୀନ, ରାମ ହେବି ସାକ୍ଷରି ଶୁଣି ତାତାରା ଦ୍ୱାରା ବେଶିତ ଅଳ୍ପ ଶ୍ଵେତ; ଇନ୍ଦିରା ଏବଂ ମହେଶ୍ଵରଙ୍କ ଦା ଦାତାନ୍ତଜ୍ଞାନୀ ଶ୍ଵେତ ହିତ୍ତିରେ... ମେହିଁ ରାମ ରାମ ଦାଇମାରିବୁ—ଶ୍ଵେତ ସାଧ୍ୟରେଖାରେ ଗୀନ୍-ଲା ଗାଢ଼ୁରିହିବା!

— ଏହା, ଏହା ହୋଇଯାଏନ୍ତି! — ମହିନ୍ଦୁରେତ ଅମାନିବର୍କରୁ ଲ୍ଲେଡି ଜ୍ୟେଷ୍ଠିଃ— ସାକ୍ଷର ଦାରିହିଁ! ପ୍ରାଚୀନ, କ୍ଷୁରାନ୍ତ ପ୍ରାଚୀନ, ହେବି ପ୍ରାଚୀନ! — ମହେଶ୍ଵରଙ୍କ ଶ୍ଵେତ ପାଇଁ ପାଇଁ, ରାମରେଲିପି ପାଇଁ-ଫ୍ରେଶ୍ ପାଇଁ ଦା ପୁରୀରେଲ୍ଲେବିତ ମହିନ୍ଦୁରେତିରେ ଦା ତାଙ୍କିର ତାତାରା ମେହିଁବାରି ମରିଗାଲିବ, ଶ୍ଵେତ ତାଙ୍କିରେବିତ, — ତୁ ଏହାଏ ଶ୍ଵେତିଶ୍ଵେତ — ଶ୍ଵେତ ଶ୍ଵେତ, ଶ୍ଵେତ କୁଳମର୍ମିତରୁ ଶ୍ଵେତ ଗାପିବେ!

ଏଥାର ଶ୍ଵେତରେ ଦାରିଶ୍ଵେତ ଦା ତାଙ୍କିର ମାତ୍ରାମରେ ଗାମନେତରିବୁବା. କେବଳିମ ଶ୍ଵେତରୁଲିତ ମିର୍କା ଗୁରୁତ୍ବକୁ ଜ୍ୟେଷ୍ଠି, ରାମରୁଲିବ ମହିନ୍ଦୁରେତା ଏବଂ ପ୍ରାଚୀନ କ୍ଷୁରିତାପିକି ପଦିନ୍ଦେବରିଲା; ଅରିଲା ମନ୍ଦିର କୁରିବି ଗାନ୍ଧିରିଲା, ଜୀବି, ମନ୍ଦିର ଶ୍ଵେତରେ ଦାରିଶ୍ଵେତ ମାଲାଲ ସାଜିଦିନିକେ, ତିତାନିପ ଗ୍ରେହିରିଲିବ ମହିନ୍ଦିର ମାତ୍ରା, ଦାତାତାପୁର୍ବା ମାତରାକି... ଦା ହାତିହୁଗାଲ୍ପିଦୁଲି ଜୀବି ମନ୍ଦିରରୁଲାତ ଶ୍ଵେତିନ୍ଦ୍ରିଯିତିରେ ପ୍ରେସିବି ଶ୍ଵେତରୁରିତ, ରାମାପ ଦିଲ ଅନ୍ତାପ୍ରେବାଶି ମହିନ୍ଦି ଶ୍ଵେତରେ ଦାରିଶ୍ଵେତ ଏବଂ ମାଲିନୀରେ, ରାମରେଲିପି ଶ୍ଵେତ ଗାମନୁଦିଗ୍ନି ତା...



բարձ ֆիտել ցրված. ճակատ Շեմդեզ ցրված գործանքներ է յս-
հանց ցալցնեած; յս յշին վկան პարած ցայտալցնելով դահրչութունը
միշտ ուղարկում է արմագագար, հոմելու վահանաւ մուժուն
լուս չեն; Կարտասան օյնո ցրված ցայտար, ուս-սահուց-
լուն սաելու վոճ, հոմելու մեսահուլաւ ցամուպուրեմուն գուգ,
ուղբեր ցամլուն, ամիշանեմուն եցեծ Շահուն.

Սաելուն ցամուպահը տոտեմբեր վլուս մեսույն և Վիտել-լու-
պուն ցայտ; Բայ Եվրայատ ցալու վուշպար և ցրված Շերո-
նուն.

— Անծառակու! չարու ցամուսեն և ցիշու մաւրանմաւարանց! —
յոտերա գուգամ ցայտ և ցամուսեր ցրվածն. Սաելուն ցամուպահ տո-
տուն կը թու, տայնու եցլուտ ցամուսեց մալալու սաջդոմիւն մերուցան
პարարա սրումարու և մամոնթունու սույցահուլաւ գայունուն մաս პարարա
ալցուցնեմունու սաեց. Ես դամ Շեմդեզ լուս չեն մեսահուլու ցո-
յուլ-եցուլուտ Շեմուցան პարարա ծայտեծու մուցուն ցրուցա; չեն չեր
միշտու, ամդոն սուպեր, մցուրալու և մցունարա ծայտ ցրուատ
ցանաս, մաշրամ ծայտեծու օսցու սույցահուլուտ, օսց մցոնթուլաւ մո-
ցցեցն մաս, հոմ պարարա սրումարու մալու ցամեսահուլուն և ցանալուն
և օսց սեցեծուն ցրուատ օմանաւ գուցուն սորենուն և ետյունաօնա.

Ճոճեան առ գուցուն ցայտ չեն յս եցենուրու գուց, հո-
մելմաւ օսց սուպեր ցանարա, հոցուր ցրուատ պարարա վամին! մեսահուլու-
ն պարարա մասենմելուն չեր սայտմեշու վասույցնես տայնու պարարա
սրումարու և սուպեր վիժուլուն գուցուն հրեցնես, մցրու տայլանու
և ծայտելուն, սալաւ սատուտաւ ցալուն կը ուղարկու և ենուցն, մցրու
տայնու պարարա լուցուն և կարուն են անաեց... ծուլուս ցիշու պալ-
կի ցանուուլուն վամին, սալաւ գուցուն և մուսուլու, լաման մհու-
նեծու ուցուն և ցլուց, հուգուն մուցուն հեցն մոսախցուլատու.

Սայնիւ սուպեր ծայտեծու ցրուատ կամես ծալնու, პորդանու մովանց,
միշան եսայերուն ծալանից, մցրու սուպեր սուպեր մուցուն վարու-
ցն և ցրուատ գուցուն սայուցուն վարուցուն վարուցուն վարուցուն



თეის გასაგზავნათ, მაღლონისთეის-კი დიდი ყუთი გატენებს შინ გამომცხეარი პატარა გემრიელი პურებით. დაბინდებამდის ბაეშები მხარულათ თამაშობდენ და დარბოდენ სახლს იქით, პატარა მწევანით დაფენილ მინდობარზე... საღმოს ჯორი ისევ შეძეს პატარა ეტლში, ზედ დაალაგეს ახლათ მოწეველილი რძით საესე ჭურჭლები და ლედი ჯენი, უხევათ დაჯილდოვებული კუავილებით და ტკბილეულობით, ათასი ხვევნის და კოცნის შემდეგ ისევ დეიდა მოდის გეერდით შესვეს მაღალ საჯღომზე. ბაეში საშინლათ დაღალული და დაქან ცული იყო, მაგრამ მაინც ისე ბეღნიერათ გრძნობდა თაეს, როგორც დიდი, დიდი ხანი, იყო აღარ ეგრძებო.

ეტლი დაიძრა და ქალაქისაკენ გაემართა. ლედი ჯენი მიუყრია,
გხაზე ერთი ხმაც არ ამოუღლია... დეიდა მოდი დაიღუნა და ბავშის
ფართე კიდევბიან შლიაპის ქვეშ შეიხდა, უნდოდა გაევო, დაეძინა
თუ არა მის პატარა სტუმარს... პატარას არ ეძინა; მისი ფართეთ
გახელილი ლურჯი თვალები დაფიქრებით მიპყრობოდენ ერთ წერ-
ტილს, აქამდის მხიარული სახე ჩაღაც გამხდრათ, ფერმერთალათ
და დაორნებულათ ჩილა...

— დაიღალე, ჩემო პატარა? — სიყვარულით ჰეთხა დეილა მოდიმ.

— არა! — წყნარათ მიუვო ლედი ჯერნა და ორმათ ამოიცხა. — მე ვფიქრობ პრეზიდენტე, ჩემ პატარა ცხენშე, დედაზე და მამაზე... რატომ ას ბრუნვლებიან ამინდ ხანს, რატომ დამიკიწყეს?..

დეიდა მოლიმ არა უპასუხა-რა, შაგრამ თითონაც ჩაფიქრდა. ის ფიქრობდა, იმაზე, რომ ყველა ის, რასაც ქოზენი ბაეშის ვინაობაზე ამბობდა—სულ არ ეთანხმებოდა იმას, რასაც ხან-და-ხან თეით ბავ-ში იტყოდა ხოლმე: ის ფიქრობდა იმაზე, რომ აქ რაღაც საიდუმ-ლოება იფარებოდა, რომ ქოზენი რაღაცას მაღავდა, რომ ქოზენი მართალს არ ამბობდა...

დეიდა მოდილ შეურეველათ გადაწყვიტა, გამოეკვლია ეს საქ-
მე... და როცა ეს კეთილი, გამზედავი ქალი რამეს გადაწყვეტდა—
ყოველთვის მიაღწევდა ხოლმე თავის მიშანს.

ମୁଦ୍ରଣ କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମ

(ଶ୍ରୀରାମକୃତ ପ୍ରକଳ୍ପ)



დავით მებული დედოფალა.

(რუსულიდან).

ცელქ ნიცას თავის დღი ახალი დედოფალა დააკიწედა სკამზე ბაღში. დედოფალა იურ გე-
გერთელა და ჭრილი ლამზი, მოძრავი, მტრედის-ფერი თვა-
ლები და ფრთხის-ფერი გრძელი თხა.

დედოფალა გაწოლილი იურ სკამზე, ხელები იქით-აქეთ
გადაეშალა, ერთი ფეხი სკამზე კლება და მეორე ჩამოყიდებუ-
ლი ჭრილი მიწს და ატრიალებდა თვალებს; ნაძვილ
უოცხალს გვანდა; მის მახლობლათ ბაღში სეზე ჩიტის ბუ-
დე იურ გაგეთებული, ჩიტები დაფრინავდენ და დედოფალას
მაღლიდან დაცეკეროდენ, თითქო უნდოდათ იმ საშიშო მტრი-
საგან დაეფარათ თავის ბარტები.

ერთი ეორანი მიფრინდა დედოფალასთან, გვერდით მო-
უკდა და უნდოდა ამოებენკა თვალები, მაგრამ, როდესაც
ამან ჩაუყო ნისკარტი თავში, დედოფალამ უცებ გადატრია-
ლა ქრუნა ტვალები, ეორანს ძალიან შეეძინდა და ჩსავი-
ლით სწრაფლათ გაფრინდა.

ბაღის გზაზე მიწოდა ლეპვი, როცა გაუსწორდა დე-
დოფალას, ტანში აიბუმგა, დაიწურ წემუტუნი; მერმეთ



მორიდებით მოუხსლოვდა სკამს და წაუქნია პირი დედოფლას, დედოფლა გადმოვარდა სკამიდან, დაუცა ლევეს, ლევეს დაუვირა, ამოიმუა კუდი და გაოქცა ბაზიდან წეტუტუნით. მიირბინა ბინაზე, მიიმზლა და დიდ ხანს უვეჯა და ოწმუტუნა შემინებულმა.

ლევეს უვირილზე მოცვივდენ სხვა ესოებიდანაც მაღლები და ატესეს საშინელი უეფა; მაღლების უფაზე საშიარეულოდნ გამოვარდა პატარა შიარეული მისა, მისაშ შემოირბინა მთელი ესო და დაათვალიერა თუ ვის უმუდრენ მაღლები; იმ დროს შეისედა ბაღში და მოჰკრა თვალი მიწაზე დაგდებულ დედოფლას; მისა უცებ შეხტა, შემოკრა ტაში და მორთო უვირილი: «არიქა მიშველეთ, ვიდაცა უცხო უმტკილია».

როდესაც მისამ უამბო უკელას ეს ამბავი გაიჭენ ბაღში: შიარეული, მოახლე, სახლის უარაული, ნიცას მამა, მმები, თითონ ნიცაც.

— «ეს ჩემი საუყარელი დედოფლა არის, იცოდეთ არავინ შეეხოთ მას», გაჲჭივლა დიდი ხმით ნიცამ,—ბოლოს მიგარდა სისარეულით, დაავლო დედოფლას ხელი, გაუსწორა მას ტანისამოსი, დაბურობნული იმა, შერე ალერ-სიანათ ჩაიკრა გულში და წაიუვანა დასაძინებლათ.

მას შეძღვებ ნიცა გაფრთხილებით ექურობოდა თავის დედოფლას და ის არაოდეს არ იძორებდა იმას საბავშვო ოთასიდან.

ბეს. ვაშაძე.

ვნახოთ ის რას მეტევის!..



ერ შეიდი წლისა ეარ. ძალიან მექნელება ამ ქალაქში მარტო სიარული... ორი კეირა არ იქნება ჩაც დედა მომიკედა. კარგათ მახსოვეს, რომ დედა ჩემი ხშირათ ჩა-მარონებდა ხოლმე ამ ქუჩებში... იმ ქუჩის ყურთან ერთმა დაგლეჯილ ტანისამოსში ჩაუმულმა კაცმა შაური მისცა დე-დეჩემს. მე ძლიერ გამიკერდა: „საწყალს, თეოთონ რა აქეს, რომ დედაჩემს მოწყალებას აძლევს-მეთქი!..“ ძალიან ციფა.. ამ ქაჩმა გამიჭირა სიცოცხლე; ძალიან მათბაბს ეს ზეეთა წამოსასხამი, რო-მელიც დედა ჩემმა თავის კაბალან გამომიკერა. რამე ფერათ მანდა, რომ მალე არ დაეხიო, რადგანაც, როცა მაცეია, ასე მგონია დედა მეხვეება-მეთქი!.. გუშინ ლურსმანს წამოვდევე და გაეიხიე, მაგრამ მაშინევ შევკარი კინჭით. ეს წულები დედა ჩემმა მაყიდა ბაზარში აბაზათ... ეს წინდებიც მან გამომიკერა. მე ძალიან ეუყვარდი დედა ჩემს. რა მიყვარდა დედას ძუძუბს შეა თავის ჩადება, როდესაც ხელს მომხვევედა ხოლმე!... რას მოეიფიქრებდი თუ დედას მომაცილებდა ერმე!..

დღეს, მთელი დღე, არაური მიჭიმია; ერთს კარგათ ჩაუმულ კაცს ეთხოვე ფული. მაგრამ იმავ დროს ეიღაცამ ისეთი ჩამერა თავ-ში, რომ კინალამ წავიქეცა; მოვიხევე და დაეინახე უმოწყალო ქა-ლაქის მცელი, იმავე წამში გაეიქეცა, მაგრავ წამოვკარი ფეხი ქვას და წავიქეცი; ამ დროს ისევ წამომეწია ის ურჯულო და ისეთი ჩამკ-ჩა თავში ხმლის ქარქაში, რომ ასე მეგონა ცა დამეცა-მეთქი თავზე.

შემდეგ ისევ გავეძეცი და იქ, ბალის გალავანთან ჩამოვაჯეპი. იქვე ერთი ბრმა დედაკაცი იჯდა და, როცა გაიგონა, რომ გამე-ლელს თხოვნა დაუუწყე, მომიყვა ულმერთოთ წყევლა-გინება, ვი-

თომ-და ჩემ მოსაცემს შენ წაიღებო!.. იქიდანაც აედექი, რა უგანაც
არ მინდოდა ის ბებერი შემეწუხებია. დედა ჩემი ხშირათ მეუბნებო-
და: „შეილო, ნურაეის ნუ აწყენინებ და უკელას ეყეარებიო“.

ძალიან ცივა!.. რამდენი ხანია ამ ხელს ეუბერავ, მაგრამ ვერ გა-
ვათბე. გუშინ მიერდი ეილაცას მაყალი ან და დავიწყე ხელების თბობა.
გამოეიდა ეილაც ბებერი და მითხრა: „ვათბი, შეილო, რამდენიც ვინ-
დოდეს, ოლონდ მაყალა არ წაექციოთ“; მაგრამ შიმშილმა შემაწუ-
ხა და მალე მოეშორდი იქაუჩობას.

მე და დედაჩემს ქალაქს გარეთ ვექონდა ნაქირავები ერ-
თა პატარა ჩამოტკრეული ოთახის კუნჭული და ღამეს იქ ვა-
თენებდით. ბლობათა ვექონდა მოგრძოებილი ძეელი ძონძები
და მასში თბილათ ვიწყებით. უკანასკნელ ხანებში დედამ ავათ-
მყოფობა დაიწყო და სულ მარიგებდა: „შეილო, კუვიანათ იყა-
ვი, იქნება ღმერთმა მოგხედოს და ეინმემ ყურადღება მოგაქციოს“.
მოელი ღამეობით არ ეძინა და სულ იხტიადა. ხშირათ მომეხევეო-
და და დამიწყებდა ხოლმე კუცნას. თაოთნ იყლებდა დასახურავს
და მე მხურავდა. სიკედილის წინა დღეს სულ არ ამდგარა, პატარა
პურის ნაჭერის მეტი არა გაგვაჩჩდა-რა და მითხრა: „შეილო, მე
გლოხა პირი მაქს, არაფერი მინდა და შენ შეჭამე. ვინ იცის, ეგებ
მასაც ჩემსაეთ შიოდა. სიკედილის დროს მიმიხმო ახლოს, ჩამიქა
გულში დიდხანს და შემდეგ მითხრა: „შეილო, გახსოვდე, არ დამი-
უწყო!..“ აბა დედა ჩემს რა დამაეიწყებს!.. როდესაც გამახსენდება
მისი ტებილი ხმა ტირილი მომიგა, მაგრამ ეს შეეტირო!.. როდე-
საც საბრალო დედა მოკედა სახლის პატრონმა შეატყობინა სხევბ-
საც, მოიყვანეს „დროგი“, მაზე დაასევნეს და წაილეს, ამას შემდეგ
სახლის პატრონმა აღარ შემიშეა, წამოვედი იქიდან ტირილით და
უკელას ეუშვერდი ხელს მოწყალებისათვის. იქვე გზაზე პატარა ბაჟ-
შები ყვირილით გამომეკიდენ, მე შემეშინდა, ეილაცას ეზოში შე-
ვარდი და იქ დავიმალე. იქვე ეზოს კუთხეში ბექრი ნასალაშინები

ეყარა გადახურულს ქვეშ; მაშინევ ვიფიქრე, რომ ლამ-ლამობით იქ
დაწერები-მეთქი და მას შემდეგ იქ მძინავს. ძალიან თბილა!..

წუხელი სიზმარში დედა მოეიდა და მითხრა: „შეილო, არ გაციე-
დე, კარგათ გაეხვიდო“ და თერთონაც მომაწვა; მე მაშინევ თავი ძუძუებ-
ში ჩაეუდევი. ამ დილას რომ გამომელებიძა დედაჩემი ალარსად იყო.
ძალიან მეზარებოდა დილას ნასალაშინევიდან გამასცელა. გუშინ მზე-
ჟე ვიღები და ვთბებოდი; ამ დროს ვიღაცა წამკრა ხელი და მითხ-
რა: „რას ატუზულხარ ამ კედელთან! დედა შენის ნამზითეთი ხომ
არ გვინია?!.“ დედას გახსენებაზე ტირილი დავიწყე, ბევრი ვუძახე
დედა ჩემს ჩუმათ, მაგრამ პასუხი არ მომცა. საფლავი მაინც ვიცო-
დე რომ მიეიდე და შეეჩივლო ყველა ესენი.. ტირილს შემდეგ
გამოვედი ისევ ქუჩაზე და დავიწყე სიარულა, მაგრამ ძალიან ციფო-
და! მზის სხივი სახლის კედლებს მოჰქონდოდა. გამოჩნდა ერთი ბე-
ბერი დედაკაცი, გავეძანე იმისკენ და დავუწყე თხოვნა. ბებერმა გად-
მომიტრიალა თვალი და სიბრაზით გადმომძახა: „რას დაწანწლობ,
შეილო ამ სიცივეში, ვერ დაეგდები სახლში, რომ გვერდებს იყინა-
ეო?!.“ და გაუდგა გზას. მეც რას ვეტუოდი და მალე მოეშორდი.
ერთი გამხმარი პურის ნაჭერი ჩამოედეა ვიღაცას ბალის გალავანზე,
დავაულე ხელი და მთელი დღე იმას ვლოლნიდი.

არ ვიცი როდემდის უნდა ვიწვალო ასე!.. მიკეირს, დედა ჩემ-
შა თავისთან რისთეის არ წამიკვანა!.. მე აქ რა უნდა ვქნა მარტო-
კა?!. ძალიან მინდა დედასთან წასელა! დღეს ძალიან ციეა! დილას
აქეთ მზე არ გამოჩენილა; სიმშილიც ძლიერ მაწუხებს; ჩუ! აგრ
ვიღაცა კაცი მოდის. ენახოთ ის რას მეტყვეის! ეგებ მიშეელოს!!!

დათვე ფარავა.



დედა ვაცორის ნაამზოგი.

A decorative floral ornament at the top right of the page, featuring a central circular element surrounded by stylized leaves and vines.

ედა ფუტკარი გახლავარ. ჩეენ სკაში ტოლი და ბალ-
ლი არა მყავს, მე ვარ რაც ვარ. ვანა არ არიან სხვები?
ბი? როგორ არ არიან! თ პაწია მოუსევნარი, მუდამ ჯა-
ფასა და შრომაში გართულნი მუშა ფუტკრები, იმათი რიცხვი ჩეენ
სამეფოში თითქმის უთვაღავია. არიან კიდევ იმათზე მოლლო, შევ-
ფერის, ტლანქი, ტუვილ-ბზუილა, მუქთა ხორა მამალი ფუტკრები,
ამათი რიცხვიც რამადენიმე ასია. მხოლოთ მე ვარ ერთათ ერთი,
სხეა ჩემ ფერი, ჩემია მსგავსი ჩემ სამეფოში არ არის და არც მიზდ
იყოს—ვერ გავიტან, ვერ ვიგუებ და თუ ჩემდა უნებურათ გაჩნდა—
ან ის უნდა იყოს და ან მე. მიყარს მარტოთ მარტო ბატონობა;
მსურს ვიყო დამოუკიდებელი და ვარ კიდეც; მე ვარ მეფე, მე ვა-
დედოფალი, მე მმორჩილობს ყველანა და უჩემოთ არც შეუძლიანო
ისეირონ—იცხოვრონ. ეს ჩემ პატარა მშრომელ ფუტკრებსაც კა-
გათ ესმით და მივლიან ისე როგორც თვალის ჩინს, მე ვარ მათ
„მარგალიტი ობოლი ხელი ხელ საგოგმანები“. მზათ არიან ჩემ.
თვის თავი გასწირონ; ჩემთვის ყველანი დაიხუცებიან, თავს შეაქ-
ლენ მას, ვინც ჩემ მტრობას მოინდომებს. ახლა საუკეთესო საჭმ-
ლი, მოვლა, პატივისცემა და ალერსი, ხომ რაღა გითხრათ —ენია
გამოუთქმელია.

არ ითექროთ მეც მართლა კდედოფლობდე — არას ვაკეთებდე
კიჯდე ცეილის ტახტზე, ან და ესეირნობდე ცეილის ქუჩებზე. ქ
როგორ შეიძლება? ასე რომ მოვინდომი უსაქმით ყოთნა ჩემი
ასულნი მუშა ფურცელები, სულ ლუკმა-ლუკმა დამგლეჯენ, თავიან-
თი შიამიანი ისრით ჯერ ტანს დაძიწულულებენ და მერმე კინწის
კერით გარეთ გამომაგდებენ. ჩემ ასულთ არ უფართ გულ-ხელ და

კრეფილი ბატონი, მათ უნდათ მშრომელი და გამრჯელი მეფე, ისეთი, როგორც თეთი არიან. აქ არის შეერთებული ძალა-ლონე—აქ არის შეერთებული საზოგადო შრომა. ეს მე კარგათ ეიცი და ამისთვის მთელი რეა თევე, გარდა ზამთრისა, სულ შრომაში ვარ და როცა მე ესაქმობ, ჩემი სამეფოც დილიდან—სალამომდე ფუსტუსებს და, თუ სიცხ-პაპანაქებაა, რიგი მუშა ფუტკრებისა ღამეც არ ისევნებს, დგას შესავალ კარგებთან და ფრთხების ქნევით სკაში ჰაერს აგრილებს და აახლებს. მე-კი ღამით მოსევნებით ვარ, მაგრამ დღითი კი ძალიან მძიმე საქმე მაქეს: მზე სკას გათბობს თუ არა, მეც შეეუდგები ჩემ საქმეს და სალამომდე სულ საქმეში ვარ გართული. ადეილი არ გეგონოთ ჩემი საქმე. ამოდენა ჯარ-ჯამაათის დედა მშობელი მე ვარ. მე რომ ასე მუყაითათ და გამუღმებით არ ვდებდე კვერცხებს, მაშინ რა იქნებოდა ჩემი სამეფოს ძალა. ახლა რაც მუშა ფუტკარია სკაში, შე რომ იმას ჩემი კვერცხის დებით უოველ დღე არ უუმატებდე,— ჩემ მუშა ფუტკრებს იმოდენა ძნელი საქცე აქვთ და იმოდენა მტერი ჰყავთ, რომ სულ ამოწყდებოდა ერთ თვეში—მერმე დარჩი და ირიკავე ცარიელ ტახტზე უჯარ-ჯამაათოთ. ვინ იცის დღე-ში რამდენი მუშა სული აკლდება ჩემ საბრძნებელს—გული მიკვ-დება—ასეა დედის ჯიგარი, მაგრამ ვნუკეშობ იმითი, რომ მავიერს უუმატებ...

მუშა ფუტკრები აღრე გაზაფხულზევე დამიმზადებენ ფი-კებს; პაწია საკვერცხებს ამოსწმენდ-ამოასუფთავებენ და მეც მოვყენები, თითო საკვერცხეში თითო პაწია კვერცხუკას ჩაედებ, დავდივარ აგრე რიგზე და ვათვალიერებ, ამა ცარიელი ადგილი არ გამომრჩეს-მეტე. როცა დავიღალები — დავისევნებ. მომეარდებიან ჩემი სულები და მეალერსებიან, ულვაშებით მექიცინებიან, საუკეთესო თაფლს მთავაზ-გენ, მეც შევიქაწებ, დავნაყრდები და ისევ გან-ვაგრძობ კვერცხს დებას და შთაძმოვლ იბის გამრავლებას. ასე ემუ-შაობ სალაშომდე. არ იფიქროთ-კი ათიოდე კვერცხუკა დაძედოს — ათი-კი არა ორი ათასი და ნან სამ ათასზე—ზევრი ალარა დამიკლ-



დღება-რა. მაშ! თქვენ ვარიკას რომ ამოდენა კვერცხი დაედეს სულ
კრიახ-კავანით აგილებდათ, მე-კი გინდ არაფერი, მეორე დღეს კი-
დევ ისე განვაგრძობდ. სამაგიეროთ ამ რა ვამეხსარდება, როცა მესამე
დღეს ხედავ რომ კეირცხუკა არსად არის—უკეთ პაწია თეთრი ქინქ-
ლა მატლი ვამოსულა. ვარს ეხევეიან მათი დობილები, უფლიან, საჭ-
მელს აჭმევენ, მხოლოდ თაფლს-კი ერ იმეტებენ მისთეის, არამედ
აჭმევენ ყვავილის მტკერს; (ჭუოს) აი ბანჯგელიაშია მუშა ფუტკარ-
მა რომ ფეხით მოიტანა, ის არის ყვავილის მტკერი, იმას განხსნან
წყალში და იმისი ფაფით კვებენ პაწია მატლებს ექვსი დღის ვამაკ-
ლობაში. ამ ხნის განმავლობაში მატლები იზრდებიან. ისე რომ სა-
კერცხეს მთლათ აქცებენ, თან-და-თან გაუმაძლრობასაც იჩენენ. ექვს
დღეს შემდეგ გადია მუშა ფუტკები ამ მატლებს თავს გადაუფის-
ენ; — ეინც არ იცის, ასე ეგონება დაახრჩევსა, მაგრამ მე არ მე-
შინია, რადენ კარგათ ეიცი რაც მოუვათ. აი გავიდა 10 თუ 11 დღე
ეს გადაფისული სახურავი შეინძრა, რაღაც შიგნიდან ხერეტს და აი
კიდეც ამოხვრიტა და ამოვიდა ახალ ბუსუს აურილი ფუტკარი. იმ
მატლს ის სრულებით არ ჰვას, ამისი სახე ახლა სულ სხვაა; ამას
აქვს ფრთხები, ულვაშები, პაწია ხორთუმი, თვალები.. ერთი სი-
ცუკით ჩემი ნაშობი ახლა მე მგას, მხოლოდ სად ჩემი იქრი და სად
მათი, მე მეფე ვარ და შეხედულობაც მეფური, დედოფლური მაქსი;
ჩემი ფერი ბზინავს ისე როგორც მწიფე წაბლი, ბოლო მწყეტიანი
ხაქს და უფრო გრძელი და მოშრდილი ვარ, მაგრამ სად ჩემი აღზრ-
და და სად მათი, მე მეფეთ აღმზარდეს ფუფუნებაში, ცალკე სასახ-
ლეში და კიდეც შეეითვისე ეს აღზრდა.

აი როგორ იყო ჩემი სიყრმე. მეც რასაკეირელია დედო მყავ-
და და იმის კვერცხიდან ვას გამოტეხილი. მეც უბრალო პაწია სა-
კვერცხეში ეიყავი ჩადრბული, მაგრამ მუშა ფუტკრებმა ამწერა და
დიდი სიფრთხილით ერთ დიდ საკვერცხეში დამაბრძანეს. ჯერ
ისეც პაწია ვიყავ და ამ დიდ საკვერცხეში სულ პაწიუკა გამოვეწ-
დო; ჩემი სასახლე მუხის რკის გადა და ფიჭის კიდურზე იყო მი-

სუპებული. როცა მატლათ ვიქეცი გარს ბევრი ძიძა, ლალა, გადიები მეხეია და რაც შეეძლოთ კარგ-კარგ საჭმელს მთავაზობდენ. მეც კლორ-მუცელაეობდი და ოთხის ოდენას გრანლებოდით, ამიტომაც ხუთ ღლეში კარგა დიდი გაეხდი, მეც თავი გადამიხურეს და საფლავში მოეწყედი. არხეინათ ვიყავი, ძეველი კანი გამოეიცეალე და ახალი შეეიძოსე; თან-და-თან სხვა ტანის ნაწილებიც მეზრდებოდა; აი უკვე უფები გამოამესხა — ყურითაც მესმის, მხოლოთ ეს არის ისე ბნელა, რომ ჯერ თვალით ვერას ეხედავ. ერთ დღეს შემომესმა მრისხანე საეთანი რიხიანი ხმა: „გამიშეით მაგ ლაწირაკთან, როგორ ბედავს აქ ჩემ სამეფოში რომ მეფეთ ჩნდება, გამიშეით, მე მინდა ჩემი ხელით დავახრჩო“ იძახდა გამწარებული დედო ბატონი და სულ ჩემსკენ იწყედა, მაგრამ მუშა ფურტკრები წინ გადაელობენ და არ დაანგებეს ჩემი თავი. თორებ ისე მზე დაუნახავს მომკლაედა. რა კი არა გაეწყო-რა, მომშორდა დალონებული, მთელი დღე მგლოვია-რეთ იყო. სალამის მოთქმაც დაიწყო და სულ „კვა, კვა“-ს გაიძახდა, მეორე დღეს ადგა ჩემი დედო ბატონი და თავის ამქარ-ამა-ლით გარეთ გამობრძანდა, ძეველი სასახლე-კი თავის ნაშენით მე და-მილოცა. მართალია, დედო ბატონს თან ბევრი ამალა ეახლა, მაგ-რამ მეც საკმაოთ დმტრია. რაკი შიში აღარაურის იყო, მეც ამოგხე-რიტე სახურავი და ზევით ამოედერ ლალი, აჩვარტავანი. მაშინვე მეღილურობა და ყოყოჩიბა შემეტყობოდა, გარს უთვეალავი რაზმი მეხეია და მათი ბატონ-ბრძანებელი მე ვიყავი, თუმცა ჯერ პირზე ჩემ შეუშრობელი ვიყავ. მე ჯერ უბიწო, უმანკო ქალიშეილი ვი-კავი და საქორწინოთ ვემშადებოდი. საქმროებიც ბევრი აღმომიჩნდა; მამლები სულ თავს დამტრიალებდენ, მეკოხტავებოდენ, მეც ვაკე-ლუცობდი, ყველას თვალს ვუყენებდი. ეს უსაქმო ცქრიალ-ლლაბუ-ცი რომ მომწყინდა, ერთ სალამის ფასს გარეთ გამოვისეირნე, გარს მეხეია ჩემი თაყვანის მცემლები მამლები. დაეიწყეთ ჰაერში ნავარ-ი. მამლები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ — ყველა ცდილობდა ერთი

მეორეზე ყოჩალი ყოფილიყო, ჩემთვის თავი მოეწონებინა, რომ ჩემი ღირსი ყოფილიყო. მეც დიღხანს გისეირნე და ბოლოს ერთი მამალი აეირჩიო და ღირს ვყავ ჩემთან ქორწინების და დაებრუნდი. ჩემს სამეურში უკვე დელოთ მხა ყოფი. ჩემთან ერთათ ბჟუბილით და ბრუნდა მამლების ხროვა, მხოლოთ მათ აღარ იახლა ჩემი ქმარი, ის უკვე მოკვდა იქვე ჰერში: მას შემდეგ აგერ მეორობე წელიწადია და მე მის მეტი ქმარი არა მყოლია.

II

